



მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

სახელმძღვანელო საგრანტო განაცხადის წარდგენის შესახებ

ძირითადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროექტის „მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“ ძირითადი, გრძელვადიანი მიზანია აჭარის რეგიონში მდგრადი და ეფექტური სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბების ხელისშეწყობა. იგი ეხმარება აჭარის სოფლის მეურნეობის არსებულ პრობლემებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და ეყრდნობა პროექტის: „ENPARD აჭარა“ შედეგებსა და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან დამყარებულ პარტნიორულ თანამშრომლობას. პროექტს ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

სხვა მიზნებთან ერთად პროექტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მოგებაზე ორიენტირებული ფერმერების ბიზნეს ჯგუფების და კოოპერატივების პოპულარიზაციას და მისცეს მათ შესაძლებლობა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით გააუმჯობესონ წარმოებული პროდუქციის ხარისხი, გაზარდონ ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა იმპორტირებული პროდუქტების და საექსპორტო ბაზრებზე კონკურენტების მიმართ და ამით მნიშვნელოვნად გაზარდონ კოოპერატივების წევრების არსებული შემოსავლები.

საგრანტო განაცხადის წესები

საგრანტო განაცხადი შეუძლია წარმოადგინოს აჭარაში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებიც დაკავებულია ან აპირებენ დაკავდნენ სასოფლო სამეურნეო საქმიანობით.

მიიღება მხოლოდ ჯგუფური განაცხადი. განმცხადებელთა ჯგუფში უნდა იყოს არანაკლებ ხუთი ადამიანი. მაღალმთიანი რეგიონების შემთხვევაში საკმარისია სამი ადამიანი.

საგრანტო განაცხადზე საბუთების წარდგენა შეუძლია ფერმერთა ნებისმიერ ჯგუფს, თუნდაც მას არ გააჩნდეს კონკრეტული იურიდიული ფორმა, მაგრამ საბოლოოდ, გრანტით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ კოოპერატივს და სასოფლო სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივს.

საგრანტო განაცხადის პროცედურები

ნაბიჯი პირველი: განმცხადებელთა ჯგუფმა, სააპლიკაციო ფორმის შესავსებად და საჭირო ინფორმაციის მოსამზადებლად, უნდა მიმართოს გაეროს განვითარების პროგრამის აჭარის პროექტს ან აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

გაეროს განვითარების პროგრამის აჭარის პროექტი
ტელ: 592 292200
ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქუჩა N52

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ტელ: 577 570547
ქ. ბათუმი, კომახიძის ქუჩა N119



ნაბიჯი მეორე: ჯგუფის/კოოპერატივის მიერ წარმოდგენილ განაცხადს განიხილავს კომისია. განხილვის საგანი იქნება პროექტის შესატყვისობა საგრანტო პირობებისადმი და მისი სარგებელი კოოპერაციის განვითარების მიმართულებით.

მხოლოდ შემდეგ ეტაპზე გადასულ კოოპერატივებთან მოხდება დაკავშირება და შესაძლებელია მოთხოვნილი იქნეს დამატებითი დოკუმენტაციისა თუ ინფორმაციის წარმოდგენა. თუკი განაცხადი ვერ გადავა მეორე ეტაპზე მასთან დაკავშირება არ მოხდება.

ნაბიჯი მესამე: ზემოთ აღწერილი ორი ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში პროექტი გადადის განხორციელების ფაზაში. განხორციელების ფაზაში აუცილებელი მოთხოვნაა კოოპერატივის წევრებმა გაიაროს მათთვის შემუშავებული ტრენინგების/კონსულტაციების ინდივიდუალური კურსი ბათუმის ბიზნეს ინკუბატორში.

საგრანტო პროგრამის პირობები

1. საგრანტო პროგრამა ვრცელდება:

- სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამუშავება/გადამუშავების სექტორის მანქანა დანადგარების შეძენაზე (შრობა, გაყინვა-გაციება, დაფასოება და კონსოლიდაცია ჩაითვლება);
- სასოფლო სამეურნეო ტექნიკის, მანქანა-დანადგარების, შესაფუთი და დამახარისხებელი საშუალებების (ყუთები, ჭურჭელი და ა.შ. გარდა რეალიზაციისთვის განკუთვნილისა) შეძენაზე;
- სასათბურე კონტრუქციაზე, სადაც სათბურისათვის განკუთვნილი ტერიტორია უნდა იყოს გამართული სასათბურე მეურნეობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით (უნდა იყოს მიყვანილი წყალი, ელექტრო ენერჯია, საავტომობილო გზა და ა.შ.)

2. გრანტი არ ფინანსდება ფულის სახით. საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ კოოპერატივს გადაეცემა შესაბამისი ღირებულების მოწყობილობები და მანქანა დანადგარები; საგრანტო პროექტით მოთხოვნილი მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები უნდა აკმაყოფილებდეს საკვების უვნებლობისა და უსაფრთხო წარმოების მიღებულ სტანდარტებს;

3. გრანტის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 30,000 ლარს;

4. გამარჯვებული კოოპერატივების მხრიდან მოითხოვება 40% თანადაფინანსების უზრუნველყოფა ფულადი სახით (თანხა უნდა იყოს განთავსებული კოოპერატივის საბანკო ანგარიშზე საგრანტო კონკურსით გათვალისწინებული საშუალებების შეძენისათვის სატენდერო კონკურსის გამოცხადებამდე);

5. გრანტით ფინანსდება მხოლოდ მოწყობილობები და მანქანა დანადგარები. არ ფინანსდება ერთ წლიანი და მრავალწლიანი ნერგების შეძენა, ფუტკრის ოჯახები, მშენებლობა, მიწის ან შენობების შესყიდვა ან იჯარა, სამშენებლო მასალების შეძენა, საბრუნავი საშუალებები, ხელფასები და სხვა.

6. პროექტის დაფინანსების შემდეგ, მისი განხორციელების, მონიტორინგის დროს მონიტორინგის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია არ გახდება საჯარო, თუ იგი არ მოიცავს კანონმდებლობით და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დარღვევებს.

7. გამოცდილების გაზიარების მიზნით, ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს თავისი წარმოების ჩვენება ყველა დაინტერესებული პირისათვის, საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან მომდევნო მინიმუმ 3 წლის განმავლობაში.

საგრანტო წინადადების წარდგენა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. ინფორმაცია ფერმერთა ჯგუფის წევრების შესახებ: მათი პირადობის ასლები და საკონტაქტო ინფორმაცია;

1. სრულყოფილი ინფორმაცია დაგეგმილი სასოფლო სამეურნეო საქმიანობის შესახებ; პროდუქციის წარმოებიდან, პროდუქციის პირველადი გადამუშავებისა ან შეფუთვის (ასეთი არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით და რეალიზაციების ჩათვლით.



2. ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი იმ მოწყობილობების თუ მანქანა დანადგარებისა და შესაფუთი მასალების სია და სავარაუდო ღირებულება, რომლის შექმნის სურვილითაც მონაწილეობს კოოპერატივი/ჯგუფი საგრანტო კონკურსში;

საგრანტო წინადადების შეფასების კრიტერიუმები

საგრანტო პროექტების შეფასება განხორციელდება კომისიის მიერ რომლის შემადგენლობაში შედის აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გაეროს განვითარების პროგრამის თანამშრომლები და მოწვეული ექსპერტები.

შეფასების კრიტერიუმები

აპლიკაციების პირველადი შეფასება მოხდება 6 კრიტერიუმის მიხედვით:

- კრიტერიუმი #1:** რამდენად იკითხება კოოპერატივში კოოპერაციის ნიშნები. სხვა სიტყვებით კოოპერატივის წევრების გაერთიანება ხელოვნურია თუ რეალურ საჭიროებას ეფუძნება.
- კრიტერიუმი #2:** რამდენად მიზნობრივია გრანტზე წარდგენილი პროექტი. სხვა სიტყვებით პროექტი ფოკუსირებულია კონკრეტულ საქმეზე, თუ რამოდენიმე, ერთმანეთისაგან განსხვავებული საქმის წარმოებას გულისხმობს.
- კრიტერიუმი #3:** რამდენად გააჩნია კოოპერატივის წევრებს გამოცდილება საგრანტო პროექტში აღწერილ საქმიანობაში.
- კრიტერიუმი #4:** რამდენად გააჩნია კოოპერატივის წევრებს საგრანტო აპლიკაციაში მითითებული პროდუქციის რეალიზაციის გამოცდილება. პირველადი მოყვანილი პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ, თუ ხორციელდება დამატებითი ღირებულების შექმნა პროდუქციის პირველადი გადამამუშავებით, დაფასობით ან სხვა დამატებითი ღონისძიებების გატარებით, რის შემდგომაც ახდენენ რეალიზაციას.
- კრიტერიუმი #5:** პროექტში მითითებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება და ამ რისკების შემცირების ძალისხმევა;
- კრიტერიუმი #6:** გრანტის ფულადი ექვივალენტი - გრანტის საშუალო წილი კოოპერატივის თითოეულ წევრზე.

დამატებითი შეფასების კრიტერიუმები

საგრანტო პროექტს დამატებით ენიჭება ქულები თუ:

1. ბიზნეს პროექტი ორიენტირებულია პროდუქტის მოყვანიდან და, პირველადი გადამამუშავების ან შეფუთვის ღონისძიებების გათალისწინებით ბაზარზე რეალიზაციების განხორციელებაზე;
2. ბიზნეს-პროექტი თანამედროვე ტექნოლოგიებზეა ან/და ინოვაციურია;
3. შესაძლებელია ბიზნესის გამოცდილების გავრცელება;
4. ორიენტირებულია ქალების დასაქმებაზე და მონაწილეობაზე;
5. ორიენტირებულია და არ ეწინააღმდეგება სურსათის უვნებლობის პრონციპებს;
6. არ აბინძურებს გარემოს. გადამამუშავება ითვალისწინებს ე.წ. „მწვანე“ ტექნოლოგიებს;
7. პროექტის საქმიანობა კავშირშია სხვა ფერმერთა კოოპერატივებთან.

შენიშვნა: დამატებითი შეფასების კრიტერიუმები გამოიყენება რამოდენიმე თანაბარი ტიპის პროექტს შორის უპირატესობის განსაზღვრისთვის.

საგრანტო წინადადების მიღება

საგრანტო წინადადების მიღება გაგრძელდება 2017 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.



მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

საგრანტო განაცხადის სააპლიკაციო ფორმა

ყურადღება: აპლიკაციის შევსებამდე გთხოვთ გაეცნოთ სახელმძღვანელოს საგრანტო განაცხადების წარდგენის შესახებ.

საგრანტო განაცხადი

განაცხადის შემოტანის თარიღი:

კოოპერატივის / ჯგუფის სახელი:

მუნიციპალიტეტი/თემი/სოფელი:

საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი):

საკონტაქტო პირის მისამართი/ტელეფონი:

პროექტის ბიუჯეტი

პროექტის მთლიანი ბიუჯეტი (ლარი):

აქედან კოოპერატივის/ჯგუფის თანამონაწილეობა:

ინფორმაცია კოოპერატივის / ჯგუფის შესახებ:

იმ შემთხვევაში თუ დარეგისტრირებული გაქვთ კოოპერატივი და მინიჭებული გაქვთ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი, გთხოვთ დაურთოთ კოოპერატივის რეგისტრაციის მოწმობის და კოოპერატივის წევრების შესახებ საბუთების ასლები და უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს:

იმ შემთხვევაში თუ თქვენ წარმოადგენთ უბრალოდ ფერმერთა ჯგუფს, კონკრეტული სამართლებრივი ფორმის გარეშე, გთხოვთ მიუთითოთ ინფორმაცია თქვენი ჯგუფის შესახებ და ასევე უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს:

- მონიშნეთ რას ითვალისწინებს თქვენს მიერ შემოტანილი პროექტი:
 - პროდუქტის მოყვანას/პირველად წარმოებას
 - პროდუქტის გადამამუშავებას
 - მოყვანას და გადამამუშავებას
 - სხვას



- ინფორმაცია წევრების შესახებ: სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია, პირადობის ასლები.
- მოკლედ აღწერეთ თქვენი პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა. მოკლედ აღწერეთ თქვენი ბიზნეს იდეა, რა სფეროს ეხება წარმოება/მომსახურება? რა სახის პროდუქციის/მომსახურების შეთავაზებას აპირებთ მომხმარებლისთვის? (მიუთითეთ რა მანქანა-დანადგარებისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო საშუალებების შეძენა გასურთ საგრანტო პროექტით, მიუთითეთ სპეციფიკაციები და სავარაუდო ღირებულება, სასურველია დაურთოთ ფოტოსურათიც).
- რამდენად გაქვე ჯგუფის წევრებს ერთობლივი საქმიანობის გამოცდილება? მოკლედ აღწერეთ თქვენი ერთობლივი საქმიანობა და აღწერეთ ამჟამად რა პროდუქციას და/ან მომსახურებას სთავაზობთ მომხმარებელს
- რამდენად გააჩნია თქვენს ჯგუფს პროექტით წარმოდგენილი საქმიანობის გამოცდილება? გთხოვთ მოკლედ აღწეროთ:



- გთხოვთ მოკლედ აღწეროთ თუ რა სარგებელი აქვს თქვენს გაერთიანებას ჯგუფად/კოოპერატივად:

- მყამად სად ახდენთ წარმოებული პროდუქციის/მომსახურების რეალიზაციას? ვინ არიან თქვენი ამჟამინდელი მომხმარებლები და როგორ აპირებთ მოიზიდოთ ახალი კლიენტები? გთხოვთ მოკლედ აღწეროთ როგორ აპირებთ წარმოებული პროდუქტის რეალიზაციას.

- პროექტში მითითებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და ამ რისკების შემცირების ძალისხმევა: